პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 230 (3714)

24 1968 წ. ნოემბერი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

ერის ახალგაზრდობა — თამამი და მაქიებელი

კვლავ „შრომითი რეზერვების“ სპორტული დარბაზი, კვლავ სპორტული ტანვარჯიში და კვლავ ტანვარჯიშული დეირი. ნაწნავებიანი გოგონა კოხტად ავიდა მასზე, გაქვავდა, წამი და შემდეგ თავბრუდამხვევი ციკლი შეასრულა. ყურადღების ცენტრში გალინა ჯღარკავა იყო, რომელიც მთლიანად ციკლის სტიქიას მიეცა.

„ყოჩაღ, — აღტაცებით წარმოთქვა ქვეყნის ნაკრები გუნდის წევრმა როზა ბერიკაშვილმა. — მისგან დიდი ტანმოვარჯიშე დადგება“. გალინამ დაიმსახურა 9,5 ქულა და დაღლილმა მხოლოდ ამის შემდეგ გაიღიმა. დიახ, თანამედროვე ტანვარჯიში უდიდეს შრომას მოითხოვს. — 3,4, ხშირად 5 საათსაც კი ვვარჯიშობ, — ამბობს 14 წლის გოგონა. 5 წლის წინათ ერთბაშად ორი მწვრთნელის მფლობელი გავხდი. ესენი იყვნენ სერგო ბურჯანაძე და ვალენტინა კლიმოვა. სამივეს ერთად უფრო გაგვიადვილდა მუშაობა. შარშან ჩამრიცხეს ქვეყნის გოგონათა ნაკრებში, წლეულს კი ჩემი მასწავლებელი სერგო მეხიკოს საგზურით დაჯილდოვეს. იგი თბილისის დმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანასთან არსებული ტანვარჯიშული სპორტსკოლის დირექტორია“.

თქვენ გაგაცანით მხოლოდ სპორტულ ტანვარჯიშში ქალაქის ერთი ჩემპიონი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ვ. ჯღარკავა. მან 73,15 ქულა დააგროვა.

ამ შეჯიბრებამ დაგვანახა, რომ ახალგაზრდობა ჩვენში თამამი და მაძიებელი იზრდება, თუმცა, სპორტის ოსტატებს შორის გაიმარჯვა 30 წლის ი. კოვალიოვმა („სპარტაკი“) — 108,7 ქულა. იგი 15 წელია, რაც შეჯიბრებებში გამოდის. სამაგიეროდ, II ადგილზე გავიდა მისი თანაგუნდელი 19 წლის ა. ზაქრაძე. მან სულ მცირედით (0,1 ქულით) წაგო გამარჯვებულთან. III ადგილზეა 20 წლის დინამოელი ვ. კუზნეცოვი — 108,3 ქულა.

გოგონებს შორის კარგად გამოვიდა სპარტაკელი სპორტის ოსტატი გ. ბზიკაძე. მან 73,95 ქულა დააგროვა.

სპორტის ოსტატობის კანდიდატებს შორის ჭაბუკებში დამაჯერებლად მიიწევდა გამარჯვებისკენ დინამოელი გ. ლოლაძე — 108,85 ქულა.

პერსპექტიული სპორტსმენებიდან უნდა აღინიშნოს 20 წლის ა. გნოლიძის („ბურევესტნიკი“) და 15 წლის გოგონა ა. ხაუსტოვას („შრომითი რეზერვები“) მიღწევები. ალა სულ ერთი წელია რაც ვარჯიშობს და უკვე სპორტის ოსტატის პროგრამით გამოდის.

დავასახელებთ გამარჯვებულებს მეორე თანრიგში. ესენი არიან „ლოკომოტივის“ წარმომადგენლები გ. უზუნიანი (107,85) და ლ. ჩერნოგლაზოვა (69,75).

გუნდურ ჩათვლაში ქალაქის ჩემპიონები გახდნენ „დინამოს“ ტანმოვარჯიშეები. II ადგილზე გავიდა „განთიადის“ ახალგაზრდული გუნდი, ხოლო III — „ბურევესტნიკი“.

სამწუხაროდ, ტანმოვარჯიშეები მოუწყობელ დარბაზში ვარჯიშობდნენ — ძალიან გაჭიანურდა სანაპიროზე მდებარე ტანვარჯიშული დარბაზის რემონტი. სპორტნაგებობათა საქალაქო სამმართველოს მუშაკებო, დაეხმარეთ ტანმოვარჯიშეებს დაუბრუნდნენ თავიანთ სარბიელს.

ვ. ბუკინი.

* * *

სურათზე: გ. ჯღარკავა ვარჯიშის დროს.

ფოტო ავტორისა.



7 ტურის შემდეგ

ბონი, 22 ნოემბერი (**ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.**). სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ქარსელაძის საჭადრაკო შემორიალზე დღეს შედგა VII ტური.

დიდოსტატმა ე. გელერმა დაამარცხა ი. ჩიქოვანი, მ. ტალმა — რ. ჯინჯიხაშვილი. ბ. გურგენიძე — ე. გუფელდის, ლ. გრიგორიან — ნ. გაფრინდაშვილისა და ზ. მიქაძე — ა. ბოკუჩავას პარტიები ყაიმით დამთავრდა. გ. მუკნაშვილ — ვ. უბილავას შეხვედრა გადაიდო.

7 ტურის შემდეგ ტალს 4,5 ქულა აქვს 6-დან, ამდენივე ქულა, ოღონდ შვიდიდან, მოავროვა გაფრინდაშვილმა.

სპარტაკიადის პრიზიორის რეკორდები

ბაქოში ოთხ დღეს გაგრძელდა ამერკავკასიის რესპუბლიკების პირადგუნდური ზონალური პირველობა რადიოსპორტში (რადიოგრამების მიღება-გადაცემა). ტურნირში კარგად გამოვიდა საქართველოს ნაკრები (ა. სოტნიკოვა, ნ. შმელიოვა, მ. სადუკოვი, ა. კოფტუნი, შ. ირემაშვილი და ზ. ბუდნიკი), რომლებმაც 290 ქულით აჯობეს სომხეთის, ხოლო 318 ქულით აზერბაიჯანის ნაკრებს.

სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის ბრიზიორმა სპორტის ოსტატმა მ. სადუკოვმა ამერკავკასიის ორი ახალი რეკორდი დაამყარა. მან ერთ წუთში მიიღო ციფრობრივი რადიოგრამის 210 ნიშანი, მრავალჯიდში (ასოებისა და ციფრობრივი რადიოგრამების მიღებაგადაცემა, ასოებისა და ციფრობრივი რადიოგრამების გადაცემა) კი თავისივე რეკორდი 730-დან 770,375 ქულამდე აიყვანა. ამ ვარჯიშში საქართველოს გუნდმა, რომლის შემადგენლობაში მ. სადუკოვი (629,25 ქულა), სოტნიკოვა (441,99), შმელიოვა (402,14) და თბილისის 119-ე საშუალო სკოლის მეცხრეკლასელი ვ. სვეიღინი (508,28) პირველობა დაისაკუთრა. სვეიღინი ჩემპიონი გახდა ჭაბუკებში. მას 30 ქულით ჩამორჩა და მეორე ადგილზე გავიდა 30-ე საშუალო სკოლის მეცხრეკლასელი ირემაშვილი.

საქართველოს ნაკრები შეუდგა სამზადისს საკავშირო ჩემპიონატისთვის, რომელიც 13-17 დეკემბერს ერევანში ჩატარდება.

რ. კაციოგაშვილი.

მისაგაძი თაოსნობა

თბილისის პირველი მაისის რაიონი ერთ-ერთი მოწინავეა ფიზკულტურასა და სპორტში.

ამ რაიონში დიდი ყურადღება ეთმობა სპორტული ბაზების მშენებლობას. შარშან ა. წერეთლის პროსპექტზე მოეწყო ხელბურთისა და კალათბურთის კომბინირებული მოედნები, დიღმის მასივში კი კალათბურთის 2 და ფრენბურთის 3 მოედანი.

წლეულს, ოქტომბრის რევოლუციის 51-ე წლისთავისთვის დიღმის მასივის მცხოვრებლებმა კარგი საჩუქარი მიიღეს — მწყობრში ჩადგა ჩოგბურთის (2), ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები ტრიბუნებით. ამ დღეებში საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა საპატიო სიგელით დაჯილდოვა ისინი, ვინც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ამ საქმეში. ესენი არიან აღმასკომის თავმჯდომარე ნ. გუნცაძე, კეთილმოწყობის განყოფილების მთავარი ინჟინერი ა. გონგაძე, ამავე განყოფილების უფროსი ინსპექტორი ი. ყუბანეიშვილი, ლიფტების მეურნეობის საამშენებლო უბნის უფროსი ბ. არაბიძე, ათისთავი ბ. კირთაძე, გრეიდერის მემანქანე ს. ირზაევი, მუშა კ. ბეღელური, რაიონის გამწვანების კანტორის დირექტორი ა. სიხარულიძე.



მომენტი განვლილი მატჩიდან თბილისის „დინამოსა“ და თეირანის ნაკრებ გუნდს შორის.

სურათზე: შეტევა სტუმრების კართან. მეკარე ზელი იგერიებს ბურთს ვ. რეზვიაშვილთან ბრძოლისას.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული ქრონიკა

◆ **ლიპეცკი, 23 ნოემბერი.** ... ბიტლთა საკავშირო პირველობის მეორე წრეში სენსაციური შედეგით დამთავრდა რამდენიმე შეხვედრა. ახალგაზრდა მოსკოველმა ვ. სოკოლოვმა ასპარეზობის დაწყებიდან რამდენიმე წამში დაამარცხა სსრ კავშირის ჩემპიონი ა. ილიუშინი. დამარცხდა მეორე ჩემპიონიც — ვ. გუცული. მას მოუგო ვ. უსიკმა.

◆ **ბარსელონა, 23 ნოემბერი.** ესპანეთის ამ ქალაქმა წამოაყენა თავისი კანდიდატურა 1976 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე. მანამდე თამაშების ორგანიზატორობაზე სურვილი განაცხადეს მონრეალმა, ლოს-ანჟელესმა, ალჟირმა და ფლორენციამ. თუ ვის მიეცემა XXI თამაშების ჩატარების უფლება, გადაწყდება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 1970 წლის სხდომაზე, რომელიც კოპენჰაგენში ჩატარდება.

◆ **ამსტერდამი, 23 ნოემბერი.** ***ჰოლანდიელ მოციგურავეთა ღია ჩემპიონატში თავი გამოიჩინა ახალგაზრდა პ. მეიერმა. მან მოულოდნელად მოიგო 5.000 მეტრზე რბენა — 8.12,0. ეს შედეგი არაა მაღალი, მაგრამ გამარჯვებულმა უკან ჩამოიტოვა თანამემამულე რ. ლიბრეხტი და კ. კოსკინენი (ფინეთი).***

◆ **ლონდონი, 23 ნოემბერი.** საიალქნო სპორტში გამოჩნდა ახალი ოლიმპიური კლასი — „სოლინგი“. „სოლინგით“ რბოლა შეტანილი იქნება მომავალი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. სამაგიეროდ, ოლიმპიური პროგრამიდან ამოიღეს შეჯიბრებები „5,5“-ის კლასში. ამგვარად, ოლიმპიადაში კვლავ 5 სახეობა იქნება: „ფინი“, „ძფრინავი ჰოლანდიელი“, „ურჩხული“, „ვარსკვლავისებური“ და „სოლინგი“. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო საიალქნო სპორტის საერთაშორისო კავშირის კომიტეტის სხდომამ.

საბჭოთა ფეხბურთელების ტურნე

დამთავრდა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატი და მასში მონაწილე გუნდები ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად მიემგზავრებიან საზღვარგარეთ, თუმცა მინსკის „დინამოს“ უკვე მასპინძლობს ინდოეთი. 1 დეკემბერს უგანდაში გაემგზავრება დონეცკის „შახტიორი“, ორი დღის შემდეგ თბილისის „დინამო“ და ბაქოს „ნეფტჩი“ დაიწყებენ თავიანთ ტურნეს. პირველი გამოვა კამბოჯასა და სინგაპურში, მეორე — ირანსა და სირიაში. გურ-ში გაემგზავრებიან მოსკოველი ტორპედოელები, სპარტაკელები გამოვლენ იტალიაში. განზრახულია ჭუთაისის „ტორპედოს“ სტუმრობა კვიპროსში.

გულახდილად და პირუთვნელად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს VI კონფერენციაზე

თბილისში ჩატარდა სტუდენტთა სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს VI კონფერენცია. კონფერენციის დღის წესრიგში იყო ანგარიშგებაარჩევნები. სტუდენტური სპორტსაზოგადოების წარმომადგენელთა თავყრილობაზე საანგარიშო მოხსენებებით გამოვიდნენ „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **გ. ცქიტიშვილი** და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე **ბ. ტყეშელაშვილი.** მომხსენებლებმა დაწვრილებით გაანალიზეს საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მუშაობა, შეკრებილთ მოახსენეს თუ რა ღონისძიებები ტარდებოდა სტუდენტური სპორტის განვითარებისათვის.

გ ცქიტიშვილმა თავისი მოხსენების დასაწყისში აღნიშნა, რომ წინა კონფერენციის შემდგომ პერიოდში რესპუბლიკურმა საბჭომ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია საორგანიზაციო მუშაობაში. უმაღლესი სასწავლებლების სპორტკლუბებმა ფიზიკურზრდისა და სპორტის კათედრების აქტიური დახმარებით შეძლეს მუშაობის გაუმჯობესება. მომხსენებელმა აღნიშნა საქართველოს პოლიტექნიკური, თბილისის სამედიცინო, საქართველოს ფიზკულტურისა და გორის პედაგოგიური ინსტიტუტების სპორტკლუბების ნაყოფიერი მუშაობა. ბევრად გააუმჯობესეს მუშაობა აგრეთვე თბილისის უცხო ენათა, ქუთაისის და სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტების სპორტკლუბებმა.

რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებსა და პლენუმებზე რეგულარულად იხილებოდა სტუდენტური სპორტის საჭირბოროტო საკითხები. პრეზიდიუმის სხდომებსა და პლენუმებზე დებულობდნენ კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც მოუწოდებდნენ სტუდენტ ახალგაზრდობას ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესებისკენ, სტუდენტური სპორტის კიდევ უკეთ განვითარებისკენ.

რაც წლები გადის, სულ უფრო უმჯობესდება სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების მუშაობა. ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოლიტექნიკური, პუშკინის სახელობის პედაგოგიური, უცხო ენათა, გორის, სოხუმისა და ცხინვალის პედინსტიტუტები. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმიანობაში ყველა ინსტიტუტი როდი იღებს მონაწილეობას. არაფრით არ შეიძლება იმის გამართლება, რომ 18 უმაღლესი სასწავლებლიდან მხოლოდ 8 ეწევა ბანაკებში გამაჯანსაღებელ მუშაობას და ამასთან მხოლოდ 3 ინსტიტუტს გააჩნია საკუთარი ბანაკები. თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს ბაკურიანში გამოყოფილი აქვს ტერიტორია სტუდენტთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკის მოსაწყობად, მაგრამ ამ საკითხის მოგვარებით ჯერჯერობით არავინაა დაკავებული. ახლა, როცა ინსტიტუტის მშენებლობა დიღომში დასასრულს უახლოვდება, დროა ბაკურიანის ბაზის მშენებლობასაც მოკიდოთ ხელი. სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების ორგანიზაციაზე არ ზრუნავენ თბილისის სამედიცინო, საქართველოს ფიზკულტურის, ქუთაისისა და ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტები.

საანგარიშო პერიოდში „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკურმა საბჭომ დიდი ყურადღება დაუთმო თანრიგოსანთა და ოსტატების მზადების საქმეს. V კონფერენციიდან VI კონფერენციამდე განვლილ პერიოდში მომზადდა 9 საერთაშორისო კლასის ოსტატი და 143 სპორტის ოსტატი. თანრიგოსნებისა და ოსტატების მომზადების წლევანდელი გეგმა სტუდენტთა სპორტსაზოგადოებამ დიდი გადაჭარბებით და ვადამდე შეასრულა: 50 სპორტის ოსტატი (ნაცვლად 46-ისა). სპორტის ოსტატობის კანდიდატთა მომზადების გეგმა არ ჰქონიათ, მაგრამ ეს ნორმატივი 70 სპორტსმენმა შეასრულა. 420 პირველთანრიგოსნის ნაცვლად მომზადდა 430 და ა. შ.

გ. ცქიტიშვილმა თავის მოხსენებაში დიდი ადგილი დაუთმო სასწავლო-სპორტულ მუშაობაში მიღწეულ წარმატებებსა და ჯერჯერობით არსებულ ნაკლოვანებებს. საანგარიშო პერიოდში ერთგვარად გაუმჯობესდა სასწავლო-სპორტული მუშაობა. საკავშირო სტუდენტურ სარბაობაში კარგ შედეგებს მიაღწიეს მოჭიდავეებმა. მოფარიკაველებმა, ჩოგბურთელებმა, ხელბურთელებმა და კალათბურთელებმა. აღსანიშნავი არიან ცალკეული სპორტსმენები, რომლებმაც საყოველთაო აღიარება ჰპოვეს როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო სარბაობაში. აი, ისინიც: მოჭადრაკეები გიფრინდაშვილი და ალექსანდრია, მოჭიდავეები მაღალთაძე, ბლიაძე, ჩიბურდანიძე, ფიცხელაური, ბორჩაშვილი და ქიბროწაშვილი, მსროლელი ქამურაშვილი, მძლეოსანი კონონენკო, კალათბურთელი კოვალენკო, ტანმოვარჯიშეები ჯინჭარაძე, აზარაშვილი და ღუდუშაური, ჩოგბურთელი კაკულია, ხელბურთელები ცერცვაძე და ფხაკაძე, მოფარიკაველი კეკელია და სხვები.

საზოგადოებას ჰყავს 7 გუნდი, რომლებიც საკავშირო ჩემპიონატებში გამოდიან. ეს კოლექტივები ფაქტიურად რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს წარმოადგენენ.

საზოგადოება დიდ ყურადღებას აქცევდა და კვლავაც მიაქცევს სტუდენტთა რესპუბლიკური თამაშების ჩატარებას. სწორედ ამ მასობრივ შეჯიბრებებში ვპოულობთ ხოლმე ნიჭიერ ახალგაზრდებს.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლების სამინისტროს ბრძანების შესაბამისად საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში უკვე კარგა ხანია მოქმედებენ გაერთიანებული ჯგუფები. აქ ხდება სპორტსმენთა ოსტატობის დონის ამაღლება. სასწავლო პროცესის ამ ახალმა ფორმამ ჩვენში დიდი მხარდაჭერა და გამართლება ჰპოვა.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბავშვებთან მუშაობას. საზოგადოებასთან შექმნილია ბავშვთა სპორტსკოლა, სადაც წლითიწლობით უმჯობესდება სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა. თუ 1966 წელს ბავშვთა სპორტსკოლაში სულ 350 ბავშვი იყო, ახლა სპორტის 8 სახეობაში უკვე 1000-ზე მეტი ბავშვია ჩაბმული.

დიდი და სასარგებლო საქმე გააკეთა საქართველოს პროფსაბჭომ, როცა შექმნა ბავშვთა სპეციალიზებული მძლეოსნური სკოლა. ამ სკოლაში დირექტორად მუშაობს წარსულში ცნობილი მძლეოსანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. იოსელიანი. გარკვეულ მუშაობას ატარებენ ბავშვებთან საქართველოს ფიზკულტურის, პოლიტექნიკური, უცხო ენათა, პუშკინის სახელობის, გორის, ქუთაისისა და ბათუმის პედინსტიტუტების სპორტკლუბები.

ქების ღირსი არიან მწვრთნელები, რომლებიც თავდაუზოგავად მუშაობენ სპორტსმენთა დაოსტატებისთვის. აი, ეს ამხანაგებიც: კეკელიძე, ძეკონსკი (მუშაობენ კალათბურთელებთან), ილურიძე, როსტიაშვილი, შეყრილაძე, პაპიტაშვილი, ძაისურაძე, ბიბილაშვილი (ჭიდაობა), ჩაჩავა (წყალბურთი), მარგიშვილი, ნიკოლაიშვილი, თევოსიანი, ტარახჩიანი (ფრენბურთი), ი. და ა. ელერდაშვილები (ჩოგბურთი), მესხი, ისლამოვი, ფხალაძე (ფარიკაობა) და მრავალი სხვა.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია გორის პედაგოგიური ინსტიტუტი. ამ სასწავლებლის ფიზკულტურულმა კოლექტივმა, რომლის სტუდენტთა კონტინგენტი ძალიან მცირერიცხოვანია, დაამტკიცა, რომ აქაც შეიძლება ოსტატების მომზადება.

უკანასკნელ ხანს მწყობრში ჩადგა რამდენიმე სპორტული ბაზა (სამედიცინო ინსტიტუტი, უნივერსიტეტი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი). სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპორტული ბაზა თავისი მასშტაბებით უდიდესი და ყველაზე კეთილმოწყობილი ბაზაა რესპუბლიკაში. პერსპექტივაში კიდევ რამდენიმე სპორტული ნაგებობის გაფართოებაა დასახული, მაგრამ, სამწუხაროდ, სპორტბაზების ზრდის ტემპები ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს.

მოხსენების დასასრულს გ. ცქიტიშვილმა გაკრიტიკა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭო, რომელიც ამ ბოლო ხანს არავითარ მატერიალურ დახმარებას არ უწევს რესპუბლიკურ საბჭოს.

მომხსენებელმაც და კამათში გამოსულმა ამხანაგებმაც დიდი ადგილი დაუთმეს 1969 წლის პროფკავშირთა საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადების საკითხებს.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა **ვ. აფრიდონიძემ** (ქუთაისის პედინსტიტუტი). **თ. მათითაიშვილმა** (პოლიტექნიკური ინსტიტუტი), **ნ. ლომოურმა** (სახელმწიფო უნივერსიტეტი). **დ. იოსელიანმა** (საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი), **ვ. ხომერიკმა** (საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლების სამინისტრო), **რ. სვანიშვილმა** (სამედიცინო ინსტიტუტი) გულახდილად და პირუთვნელად იმსჯელეს სტუდენტური სპორტის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების საჭირბოროტო საკითხებზე.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს **ა. გრინევსკიმ** (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სამმართველოს უფროსი) და **ლ. სანაძემ** (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე). მათ ილაპარაკეს სტუდენტურ სპორტში მიღწეულ წარმატებებზე, არსებულ ნაკლოვანებებზე და „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს მომავალ ამოცანებზე.

* * *

კონფერენციამ აირჩია „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს ახალი შემადგენლობა. გაიმართა საბჭოს I პლენუმი. რომელმაც რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ **გ. ცქიტიშვილი** აირჩია. მოადგილედ — **მ. ბერიევი,** ხოლო ახლად არჩეული სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ — **ბ. ტყეშელაშვილი.**



სურათზე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო სპარტაკიადის მონაწილენი. თამაშობენ ფიზიკისა და ეკონომიური ფაკულტეტების კალათბურთელთა გუნდები.

ფოტო ე. რუსაკისა.

ფიცარნაგი არ ვარგოდა

ცხინვალის სპორტულ ბაზებზე ორ კვირას გაგრძელდა სამხრეთ ოსეთის III საოლქო სპარტაკიადა. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ „ბურევესტნიკის“, „განთიადის“, „სპარტაკის“, „კოლმეურნისა“ და განათლების განყოფილების ნაკრები გუნდები. პროგრამაში იყო ფეხბურთი, კალათბურთი, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი, მძლეოსნობა, ტყვიის სროლა, თავისუფალი ჭიდაობა და ძალოსნობა.

კალათბურთში, ქალთა ფრენბურთში, მძლეოსნობასა და სროლაში ჩემპიონობა მოიპოვა „ბურევესტნიკმა“, მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში — „სპარტაკმა“. მათივე გამარჯვებით დამთავრდა ფრენბურთელ ვაჟთა ასპარეზობაც.

თავისუფალ ჭიდაობაში უძლიერესნი იყვნენ: გ. ქოზაევი („კოლმეურნე“), მ. ფილიევი („განთიადი“), ტ. პურიჭამიშვილი (განათლების განყოფილება), ვ. გაზაევი („სპარტაკი“), ა. გაგლოევი, ლ. ჯალაბაძე (ორივე — „ბურევესტნიკი“), ლ. გაბარაევი („განთიადი“) და ლ. გასიევი („ბურევესტნიკი“). გუნდურ ჩათვლაში განთიადელებმა იმარჯვეს.

ძალოსანთა შეჯიბრება უნდა გამართულიყო პედაგოგიური ინსტიტუტის დარბაზში. მაგრამ ასპარეზობა არ ჩატარდა, ვინაიდან ხეირიანი ფიცარნაგი ქალაქში არ აღმოჩნდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა „ბურევესტნიკმა“, II ადგილზეა „სპარტაკი“, III — „განთიადი“.

ვ. ველკოევი.

ცხინვალი. (ჩვენი კორ.).

ოლიმპიადიდან

თეთრი წყაროს

გაიმართა თეთრი წყაროს რაიონის მოსწავლეთა ტურნირი მძლეოსნობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ 13-14 და 15-16 წლის მოსწავლეები. გაიმარჯვა თეთრი წყაროს რუსული საშუალო სკოლის გუნდმა, II იყო მანგლისის რუსული სკოლის, III — თეთრი წყაროს ქართული სკოლის მძლეოსნები.

მ. ფილიევი,
სპორტსკოლის დირექტორი.

ანგარიშგება-არჩევნები

ბაზები შორს რომ არ იყოს...

გაიმართა თბილისის მე-6 სამკერვალო ფაბრიკის ფიზკულტურის კოლექტივის კონფერენცია.

ითქვა, რომ „განთიადის“ წევრთა რაოდენობა 400 კაცამდე გაიზარდა, მომზადდა 1 სპორტის ოსტატი, 4 პირველთანრიგოსანი, ათობით ნიშნოსანი და საზოგადოებრივი მუშაკი. სწორად ეწყობა საფაბრიკო პირველობანი სპორტის სხვადასხვა სახეობაში. აქაური სპორტსმენები კარგად გამოვიდნენ საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის პროფკავშირთა სპარტაკიადაში, კიროვის რაიონის საიუბილეო სპარტაკიადაში და სხვ. აღინიშნა ისიც, რომ სპორტული მოედნები ფაბრიკისგან ძალიან შორსაა, რაც მუშაობის უკეთ გაშლას აფერხებს. მოძველებულია საწარმოო ტანვარჯიშის კომპლექსი, ჩამორჩება სპორტის პროპაგანდა.

კონფერენციამ დასახა ღონისძიება და ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ ფაბრიკის დირექტორი მ. ავალიანი აირჩია.

ჯ. ბოლგოშია.

ვადამდე და გადაჭარბებით

კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩატარდა თბილისის საავჯო გაერთიანება „განთიადის“ ფიზკულტურელთა საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია. საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარე ა. დიღმელაშვილი. მან აღნიშნა, რომ კომბინატის ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ ბოლო წლებში გააუმჯობესა მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობა, მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა სპორტში. კომბინატის ფიზკულტურელები რაიონული სპარტაკიადის ჩემპიონები არიან. ისინი უძლიერესნი იყვნენ ტურისტთა საქალაქო შეჯიბრებაში, პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტის დარგობრივ სპარტაკიადაში. ყოველივე ამან კოლექტივს საშუალება მისცა ვადამდე და გადაჭარბებით შეესრულებინა ნიშნსანებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმა-ვალდებულება.

„ამათში მონაწილეობდნენ ჩოგბურთის სექციის ხელმძღვანელი რ. განუკოვი, ფიზკულტურის ინსტრუქტორი ს. ტიმოფეევი, ადგილკომის თავმჯდომარე ვ. დუჩიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. ბადრიძე, კომკავშირის კომიტეტის მდივანი ნ. სეფიაშვილი. მათ ილაპარაკეს კოლექტივის, სექციების, გუნდების მუშაობის მიღწევა-ნაკლოვანებებზე.

კონფერენციამ მიიღო სათანადო ღონისძიება.

ი. ხაბეიშვილი.

„საქართველოს კალენდარი“ და ფიზიკური აღზრდის საკითხები

80 წლის წინათ, 1888 წელს, ცნობილი საზოგადო მოღვაწის ვალერიან გუნიას თაოსნობით ქართველმა მკითხველმა მიიღო პირველ ქართულ ენციკლოპედიად ცნობილი „საქართველოს კალენდარი“, რომლის 14 წიგნიც 7000-მდე გვერდს შეიცავს. წიგნი გამოდიოდა წელიწადში ერთხელ (1888-1898, 1903-1905) და აშუქებდა ადამიანის ყველა ცხოვრებისეულ საკითხს, მის ფურცლებზე სათანადო ადგილი ეჭირა ასტრონომიას, ისტორიას, გეოგრაფიას, ამერკავკასიას მისი ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულების დახასიათებით, ხალხთა ზნე-ჩვეულებებს, ისტორიულ პირთა ბიოგრაფიებს, საოჯახო საქმეებს, აფთიაქსა და მკურნალობის საშუალებებს. ერთი სიტყვით, როგორც მწერალი ნ. აგიაშვილი შენიშნავს, „ეს იყო ნამდვილად პოპულარულად შედგენილი სახალხო ენციკლოპედია, ყველასათვის ხელმისაწვდომი და გასაგები“.

ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან ერთად „საქართველოს კალენდარში“ ფართო ასახვა ჰპოვა ფიზიკურმა აღზრდამაც. პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ „კალენდარში“ ტანვარჯიში უმთავრესად გამაჯანმრთელებელ მიზნებს ექვემდებარება. იგი მიჩნეულია არა მარტო ორგანიზმის საერთო ფიზიკური განვითარების საშუალებად, არამედ ცალკეული ორგანოების დაავადებათა მკურნალობის უებარ წყაროდაც. „ტანვარჯიშობას“, ვკითხულობთ წერილში „გიმნასტიკა“ (1895 წ.), — ანუ გიმნასტიკას დიდი გავლენა აქვს ყველა სხეულზე, გულმკერდზე, ფილტვებზე, გულზე, სტომაქზე, სუნთქვაზე, სისხლის მოძრაობაზე. ყველა ესენი გამუდმებულის და რიგზე მოხდენილის გიმნასტიკით უფრო ძლიერდებიან და შესაფერ ჩვეულებრივ დონეზე ჩადგებიან. ადამიანს შესამჩნევად ძალა ემატება, ფერი უკეთდება, მადა და სისხლის მოძრაობა უძლიერდება... ჩვენს კალენდარში ჩამოთვლილი გიმნასტიკა ჰრგებს შემდეგ ავადმყოფობას და სენს: საერთოდ დაუძლურებას, უღონობას, ტანის ზრდას და განყიერებას, სიგამხდრეს და მეტად სიმსუქნეს, ნაკლებ სისხლიანობას, მუცლის შეკვრას, სისხლის ავარდნას თავში და სახეში, ქშენას, თავისუფალ სუნთქვას, გულმკერდის გაგანიერებას და გაძლიერებას, ტანის ცუდად ხმარებას და უშნო სხეულს, თავის ლამაზად დაჭერას, ფეხების და ხელების გამართვას, წელის და ზურგის გასწორებას, ძარღვების მოშლას და ნერვების ავადმყოფობას, ფილტვებს და სხვა“ (გვ. 266).

აღსანიშნავია, რომ „საქართველოს კალენდარი“ მკითხველებს ხელაღებით როდი ურჩევს ტანვარჯიშით სარგებლობას, იგი მიუთითებს მთელი რიგი წესების გათვალისწინებაზე, აფრთხილებს მათ, რომ ავადმყოფობის შემთხვევაში „გიმნასტიკას ექიმების დაუკითხავად ნუ დაიწყებენ“.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ „კალენდარში“ ვხვდებით მეტად სასარგებლო თუ ორგანიზაციული ხასიათის რჩევა-დარიგებებს ფიზიკური ვარჯიშების გამოყენებასთან დაკავშირებით. მოვიყვანთ ზოგიერთ მათგანს: „ყოველს ამ გვარ გიმნასტიკაში მხედველობაში ის უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ვარჯიშობით სხეული ამოძრაოს თანაბრად: ყველანი ერთად და ცალკე ყოველი“, — წერდა „კალენდარი“ 1890 წელს (გვ. 317). „საქმე ის არის, რომ გიმნასტიკა მარტო ერთხელ და ორხელ კი არ უნდა მოახდინოთ, არამედ ყოველდღე, თუ შეგიძლიათ დღეში ორჯერ დილით და საღამოთი, და თუ არა, დილით მაინც. პირველად იქნება არ გესიამოვნოთ, მაგრამ ბოლოს რამდენიმე მაგალითის შემდეგ ისე შეეჩვევით და შეიყვარებთ, რომ თავის დანებებაც არ შეგეძლებათ. საქმე პირველი ხანაა, დაჩვევაა, ესე იგი, გამუდმებული გიმნასტიკა ერთიორის ან სამის თვის განმავლობაში“ (1895, გვ. 265); „ის ადგილები, სადაც გიმნასტიკით ვარჯიშობთ, ყოველთვის წმინდა და სუფთა უნდა იყოს, პირველი საქმე წმინდა ჰაერია. ყოველთვის ფანჯრები ღია უნდა იყოს, თუნდაც ავდარში“ (1895, გვ. 266); „უმთავრესი საქმე ის არის, რომ ყოველთვის ერთსა და იმავე დროს ივარჯიშოთ. ეცადეთ, რომ პირველ ხანებში არ აცდეთ, მერე კი თავის თავად შეეჩვევით“. (1895, გვ. 266).

„საქართველოს კალენდარმა“ 1895, 1896 და 1897 წლებში მკითხველს ნახატების თანდართვით მიაწოდა ე. წ. საოჯახო ტანვარჯიშის რვა ვარჯიში, ამოღებული გერმანელი პროფესორის პეტენკოფენის წიგნიდან „შინაური გიმნასტიკა ჯანმრთელთა და სნეულთათვის“. ყოველ ნახატს თან ახლავს სათანადო განმარტება და ამ ვარჯიშობით მოსალოდნელი შედეგის დახასიათება. სანიმუშოდ მოვიყვანთ მამაკაცთათვის განკუთვნილ მე-4 ვარჯიშის განმარტებას. „ხელების მოძრაობა ირგვლივ. — ამ ვარჯიშისთვის კარგია, რომ ორივე ხელში რაიმე მძიმე ნივთი გეჭიროთ, მაგალითად, სამ-სამი ან ოთხ-ოთხი გირვანქიანები (შეიძლება ერთი წონა შეუკვეთოთ მჭედელს), მერე ხელებს ხან ძირს დაუშვებთ, ხან ზედ ასწევთ და ხან ატრიალებთ ირგვლივ წისქვილის ქვასავით. ეს ვარჯიშობაც მით არის კარგი და სასარგებლო, რომ გულის ფიცარს ამოძრავებს, მკლავებს ძალას ჰმატებს და ამაგრებს მხრებს და განსაკუთრებით გულის ფიცარს და გულმკერდს აგანიერებს, აფართოებს, რის გამო ფილტვები ჯანსაღდება და სუნთქვაც ძლიერ ადვილდება“.

აღსანიშნავია, რომ „გიმნასტიკაც“ „საქართველოს კალენდარი“ გულისხმობს არა მარტო მსგავსი საოჯახო ვარჯიშების ტიპის მოძრაობებს, არამედ მას მიაკუთვნებს ექსკურსიებს, ცხენოსნობას, ცურვას, რბენას, სიმძიმეების აწევას და გადატანას, ხეზე ცოცვას, ხტომას, ქართულ ჭიდაობას, ბურთაობას, ჯირითს და სხვ. რატომღაც გიმნასტიკის შემადგენელ ნაწილადაა მიჩნეული სიმღერა და ხმამაღლა კითხვაც.

„საქართველოს კალენდარს“ სამართლიანად სწამს, რომ ფიზიკური აღზრდა აღზრდის საერთო პროცესის განუყოფელი ნაწილია. ამიტომ „გიმნასტიკას ყოველ ოჯახში ღირსეული ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული, რათა მოზარდ თაობას გონებით სწავლა-განათლებასთან ერთად არ ჰქონდეს მოკლებული ფიზიკური განვითარებაც“ (1895, გვ. 259). ტანვარჯიში სასურველ ზემოქმედებას ახდენს ადამიანში ისეთი თვისებების განვითარებაზე, როგორიცაა სიჩამაცე, სიმარჯვე, გამბედაობა; იგი ხელს უწყობს პიროვნების ინტელექტუალურ აღზრდას. ეს აზრი განსაკუთრებით კარგადაა გამოკვეთილი ალ. მაღალაშვილის წერილში „ყმაწვილების აღზრდა“ (1894, გვ .403-409). ავტორი ფაქტიური მასალების საფუძველზე ამტკიცებს, რომ ბავშვთა თამაშები არა მარტო რგებს ორგანიზმს, არამედ მათი დახმარებით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ბავშვის ხასიათი, მისი მიდრეკილებანი. „რაც შეეხება თამაშობას, — წერს ალ. მაღალაშვილი,—თავის დღეში არ უნდა უშლიდეთ ყმაწვილს (თუ შემეტებული არ არის), რადგანაც თამაშობა, ჯერ ერთი ყმაწვილს ფიზიკურ ძალ-ღონეს აძლევს და მეორე, ამხანაგებში თამაშობას ყმაწვილისთვის დიდი სარგებლობა მოაქვს... საზოგადოდ შემჩნეულია, ყმაწვილი, რომელიც არ თამაშობს ყმაწვილებში და ან კიდევ თამაშობის დროს უყვარს მარტოობა, მაგისთანები მიუკარებელი ეგოისტი კაცებია“ (გვ. 404).

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოს კალენდარს“ ფიზიკური აღზრდის მიზანი იმდაგვარადვე აქვს წარმოდგენილი, როგორც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პერიოდულ პრესას საერთოდ. მისი განმარტებით, ფიზიკურმა აღზრდამ ხელი უნდა შეუწყოს ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებას, რამდენადაც „ჯანმრთელ კაცში ჯანმრთელი სული, საღი გონება და სპეტაკი ზნეობა ბინადრობს... ჯანმრთელობა კაცს საშუალებას აძლევს თავის და საზოგადოებრივ სარგებლობაზე იზრუნოს“ (წერილი „თავის მოვლა-შენახვისა“, 1890, გვ. 312).

ა. ციბაძე,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

ᲥᲔᲚᲚᲘ ᲥᲐᲯᲕᲔᲯᲘ

● **ბაკო**, 22 ნოემბერი. საინტერესოდ მიმდინარეობს სსრ კავშირის ჩემპიონატი რუსულ შაშში. დღემდე გამართული 10 ტურის შემდეგ საჭრიზო ადგილების პრეტენზია აქვს მონაწილეთა ნახევარს. სტარტდან დაწინაურებულმა ბაკოელმა დიდოსტატმა ი. არუსტამოვმა პირველი წაგება იწვნია. მას მოუგო მოსკოველმა ნ. აბაციევმა. ახლა 6 ქულა აქვს შეჯიბრების 6 მონაწილეს. ესენია, არუსტამოვი, აბაციევი, ე. ტიუნევი, ი. კუსტარიოვი, ნ. კონონოვი და ი. კასპაროვი.

● *კიევი*, 22 ნოემბერი. ასუჯრიან შაშში სსრ კავშირის XIV ჩემპიონატის I ტურში ყურადღების ცენტრში იყო დიდოსტატების — ა. ანდრეიკოს, ვ. შჩოგოლევისა და ი. კუპერმანის პარტიები, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა სატურნირო ცხრილში ქულა ვერ ჩაიწერა. ყველაზე ადრე დაამთავრეს შეხვედრა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვ. შჩოგოლევმა და შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ, მინსკის უნივერსიტეტის 20 წლის სტუდენტმა ა. განტვარგმა. მინსკელი მრავალმხრივი სპორტსმენი და პირველთანრიგოსანი ფეხბურთელია. მათი შეხვედრა სწორედ საფეხბურთო მატჩის პირველ ტაიმს გავდა. იგი 45 წუთს გაგრძელდა და ყაიმით დამთავრდა. ვერ შეძლო ტამკენტელი ხ. დავიდოვის წინააღმდეგობის დაძლევა კიეველმა ი. კუპერმანმაც. მსოფლიო ჩემპიონი ა. ანდრეიკო 6-საათიანი ბრძოლის შემდეგ იძულებული შეიქნა ყაიმზე შეთანხმებოდა მოსკოველ ვ. აკაფონოვს. პირველი ტურის გმირები იყვნენ ლენინგრადელი ა. მოგილიანსკი და უფელი ი. ოგოროდნიკოვი, რომლებმაც შესაბამისად დაამარცხეს მოსკოველი ა. ფედორუკი და კიეველი ი. პომერანეცი. დანარჩენი პარტიები ყაიმით დამთავრდა.

● **პრაღა**, 22 ნოემბერი. სამშობლოში დაბრუნდა 4 მთამსვლელი ქალი, რომლებიც ფეხით ჩავიდნენ პრაღიდან მეხიკოში XIX ოლიმპიურ თამაშებზე. მთამსვლელმა ქალებმა დალაშქრეს მექსიკის უმაღლესი მწვერვალი პოპოკატეპეტლი (5452 მ ზღვის დონიდან).

● **ოსაკა**, 22 ნოემბერი. იაპონელ სტუდენტთა პირველობაზე ძალოსნობაში 19 წლის საშუალო წონის ათლეტმა ტ. სუნამომ მსოფლიო რეკორდი დაამყარა აკვრაში — 162,5 კგ. იუნიორთა ძველი რეკორდი ეკუთვნოდა ბულგარელ ლ. სტრაშიმიროვს და 1,5 კილოგრამით ნაკლები იყო.

● **სან-პაულო**, 22 ნოემბერი. ბრაზილიის ამ ქალაქში სტარტი აიღო ორკვირიანმა საერთაშორისო ველოტურმა. 19 ეტაპად დაყოფილი ტრასა 2112 კილომეტრი სიგრძისაა. ორი დღის შემდეგ დაწინაურდნენ იტალიელი ველოსიპედისტები. პორტუგალიელთა გუნდი მათთან 6 წამს აგებს. პირად ჩათვლაში ლიდერობს იტალიელი ა. შარცოლი.

● **ლენინგრადი**, 21 ნოემბერი. დამთავრდა საინტერესო ავტორალი „ოქროს შემოდგომა“, რომლის ტრასა კარელიის ყელზე გადიოდა. დისტანციის სიგრძე 3.000 კილომეტრი იყო. მონაწილეებმა იგი 60 საათში დაფარეს. რთული პროფილის მიუხედავად ზოგან სისწრაფე საათში 150 კმ-ს აღწევდა. სტარტზე გამოსული „ვოლგისა“ და „მოსკვიჩის“ კლასის 38 მანქანიდან ფინიშთან მივიდა მხოლოდ... 5. გაიმარჯვეს ე. სნიბურინმა და ვ. კოვტუნმა (ორივე — ლენინგრადი). შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, ვიბორგისა და რიგის ეკიპაჟები.

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ — 31 ᲛᲐᲘᲡᲘᲓᲐᲜ 8 ᲘᲕᲜᲘᲡᲐᲛᲓᲔ

კრივის ევროპის ლიგის წევრები დიდხანს დაობდნენ სად ჩაეტარებინათ კონტინენტის წლევანდელი პირველობა. საქმე იმაშია, რომ ჩემპიონატის მასპინძლობაზე რამდენიმე ქვეყანა აცხადებდა პრეტენზიას. ბოლოს, როგორც იქნა გადაწყდა: ჩემპიონატი გაიმართოს ბუქარესტში 31 მაისიდან 8 ივნისამდე. ჩემპიონატზე დასწრების მსურველთა დასაკმაყოფილებლად ზამთრის სტადიონი სპეციალურად გადაკეთდება და 15 ათას მაყურებელს დაიტევს. ჯერჯერობით ტურნირში გამოსვლის სურვილი გამოთქვეს: იტალიამ, ბულგარეთმა, გდრ-მ, გფრ-მ, პოლონეთმა, შვეიცარიამ, ჰოლანდიამ, შვეციამ, ნორვეგიამ, ავსტრიამ, ფინეთმა, საფრანგეთმა, ირლანდიამ, შოტლანდიამ, დანიამ, ლუქსემბურგმა, უნგრეთმა, თურქეთმა და იუგოსლავიამ. საორგანიზაციო კომიტეტი ვარაუდობს, რომ შემოვა კიდევ სულ ცოტა 7 განაცხადი.

ნაყოფიერად მუშაობენ ტეხურის საბჭოთა მეურნეობაში ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, ჭადრაკის სექციები.

ამჟამად მიმდინარე სარაიონო სპარტაკიადაში წარმატებით ითამაშეს ტეხურელმა ფეხბურთელებმა და I ადგილიც დაიკავეს.

რ. ჯანჯღავა.

• • •

სურათზე: სპარტაკიადაში გამარჯვებული ტეხურის მეურნეობის გუნდი.



სამმაგი მალაყი... თხილამურებზე!

25 წლის ავსტრიელმა სპორტსმენმა ე. შმიდტმა შეძლო ის რაც შეუძლებელი ჩანდა — შეასრულა სამმაგი მალაყი თხილამურებზე.

ტიროლელმა სამთოსათხილამურო სპორტის ინსტრუქტორმა, რომელიც საათში 70 კილომეტრის სისწრაფით მიჰქროდა, ტრამპლინზე 7 მეტრის სიმაღლეზე ახტა და განახორციელა სამმაგი მალაყი უკან. შემდეგ 40 მეტრი იფრინა და მშვიდობიანად დაეშვა თოვლზე.

ავსტრიის ყოფილი ჩემპიონი ტანვარჯიშში (რგოლებსა და ღერძზე ვარჯიშში) რამდენიმე თვეს ემზადებოდა, რათა დაემტკიცებინა ასეთი ნახტომი შესაძლებელი რომ იყო ისეთ ვითარებაში, როცა პრაქტიკულად გამორიცხულია ორიენტაციის შესაძლებლობა და მხოლოდ ინტუიციის დახმარებით შეიძლება მიზნის მიღწევა.

ე. შმიდტის მიღწევა გამოიყენეს „სნოუ კინგის“ (თოვლის მეფე) მარკის თხილამურების რეკლამისთვის. როგორც ცნობილია, ამ მარკის თხილამურებს ამზადებს ავსტრიული ფირმა „კესტლე“. ნახტომის წარმატებით დამთავრების შემდეგ შმიდტმა თავის ინტერვიუში თქვა: „ვარჯიშისას მე არაერთი წყვილი თხილამური გავტეხე და მხოლოდ „სნოუ კინგმა“ გაუძლო ამგვარ დატვირთვას“.

სურათზე: ქვემოთ — შმიდტი სარეკორდო ხტომისას, ზემოთ — სამმაგი მალაყის კინოგრამა.

დაბრკოლებებით რგოლა

თურმე, მხოლოდ ცხენოსნებს როდი შეუძლიათ წინაღობათა წარმატებით გადალახვა. მათი ოთხფეხა „კოლეგები“ — ხარები შესაბამისი ვარჯიშის შემდეგ ასევე წარმატებით ძლევენ დაბრკოლებას. პაკისტანის ქალაქ ლაჰორში მეცხოველეობის ყოველწლიური დღესასწაულის პროგრამაშია ხარების უჩვეულო რბოლა, რომლის დროს ისინი შესანიშნავად ახტებიან მათ წინ აღმართულ დაბრკოლებებს და ბრწყინვალე შედეგებსაც აღწევენ.

სურათზე: „შეჯიბრების“ ერთი მომენტი.

ფეხბურთის კულისებს მიღმა

სულ ახლახან გარდაიცვალა ვეტერანი სპორტული ჟურნალისტი, ყოველკვირეული დამატება „ფუტბოლ-ჰოკეის“ მომომხილველი ვსევოლოდ ვლადიმერის ძე სტოიანოვი.

„ფიზკულტურა ი სპორტის“ გამომცემლობა ამზადებს ვ. სტოიანოვის წიგნს „ფეხბურთის კულისებს მიღმა“. დიდი ხანი არაა, რაც აწ გარდაცვლილმა ჟურნალისტმა ჩვენს რედაქციას შესთავაზა რამდენიმე ნაწყვეტი თავისი მომავალი წიგნიდან. ვფიქრობთ, სპორტის მოყვარულთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება წაიკითხოს ეს წერილები, სადაც ვ. სტოიანოვს დიდი სიყვარულით აქვს გადმოცემული ფეხბურთელთა ცხოვრების ამბები.

გუცები

გასახდელში, კედლის გასწვრივ, 13 შეწლონგი დგას. 11 მათგანის სახელურებზე გადაკიდებულია პირსახოცები, გეტრები, მაისურები, ტრუსები. 2 სავარძელი თავისუფალია. ეს სათადარიგო მოთამაშეთათვისაა, რომლებსაც ჯერ შეუძლიათ არ იჩქარონ.

თვითეული სავარძლის გვერდით, თითქოს ეს სავალდებულოა ასე იყოსო, დგას: მარჯვნივ — ხელჩანთა, მარცხნივ — ბუცები. შავი, შავ-თეთრა, რუხი ფერის ბუცები. ზოგიერთ მათგანს ტყავის გრძელი ენა აქვს, ზოგს — არა. თვითეულ ბუცს ისეთი კვალი ამჩნევია, თითქოს ბასრი დანა გაუვლიო ვიღაცას.

იცით, მაგალითად, რომელია ყველაზე უფრო „პოპულარული“ ბუცის ნომერი მოსკოვის სპარტაკელთათვის? თურმე, ამ გუნდის ფეხბურთელთა უმრავლესობა თამაშობს ბუცებით, რომელთა ლანჩაზე აღნიშნულია 41½. ყველაზე პატარა ბუცები აცვია ვალიმზიან ჯუსაინოვს: სულ რაღაც № 38. 1 ნომრით მეტი აქვს ვალერი რეინგოლდს და ეს გარემოება მას საკმაოდ გულდასაწყვეტად მიაჩნია. რატომ?

ბევრ ფეხბურთელს ჰგონია, რომ საუკეთესო ფეხბურთელი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვისაც პატარა ტერფი აქვს. მე ვუთხარი რეინგოლდს, რომ გრიგორი ფედოტოვი თამაშობდა 45 ზომის ბუცებით. რეინგოლდი წამსვე შემეკამათა:

— მაგრამ გრიგორი ივანეს ძეს ხომ არ შეეძლო ფეხისზურგით დარტყმა...

ეს სინამდვილეა. განთქმულმა ბომბარდირმა იცოდა, რომ ბურთის დარტყმისას ფეხის წვერს აუცილებლად წამოსდებდა მიწას და ამიტომ დარტყმას ასრულებდა ფეხისზურგის შიდა ან გარეთა ნაწილით.

მე ვუყურებ ვლადიმერ მასლაჩენკოს 42 ზომის ბუცებს და ვამჩნევ, რომ ეს ის ბუცები არაა, რომლებიც მას გუშინ ეცვა ვარჯიშის დროს. სადაა მისი მძიმე, საკმაოდ შეფერთხილი „წაღები“? თურმე, მასლაჩენკოს ორი წყვილი ბუცი აქვს: ერთი სავარჯიშო, მეორე — სათამაშო. სავარჯიშო ბუცებთან მასლაჩენკო „შინაურულადაა“ და არც კი წმენდს ხოლმე. სათამაშო ბუცებს იგი „თქვენობით“ ეპყრობა. მიუხედავად ამ გარეგნული დამოკიდებულებისა, მასლაჩენკო, ისევე, როგორც ყველა სხვა მეკარე, გულმოდგინედ ადევნებს თვალს, რომ ორივე წყვილ ბუცზე „შიპები“ სათანადო სიმაღლისა იყოს და არ ირყეოდეს. თუ მხედველობიდან მცირეოდენიც კი გამოგრჩა, ეს უკვე გოლია.

ვლადიმერ მასლაჩენკო, სერგეი როჟკოვი, ვლადიმერ იანკინი, ნიკოლოზ ოსიანინი თამაშობენ ფირმა „ადიდასის“ ბუცებით. სპარტაკელთა კაპიტანს ჰუსაინოვსაც აქვს ასეთი ბუცები, მაგრამ გალიმზიანი იშვიათად იცვამს მათ. უცხოურ ბუცებს იგი ამჯობინებს ჩვენებურს, განსაკუთრებით — ქართველი ოსტატების მიერ შეკერილ ბუცებს, რომელთა შორის საგანგებოდ გამოირჩევა „მიხოს პროდუქცია“. მისი ბუცებით სარგებლობს მრავალი ფეხბურთელი, მაგრამ ოსტატის გვარი არავინ იცის. ასე შეკერა მიხომ თავისი სეხნიას — მიშა მესხის თხოვნით მსუბუქი, მკვრივი და როგორც მათი მფლობელი ამბობს, იღბლიანი ბუცები ჰუსაინოვისთვის. ამ ბუცებით გაიტანა ჰუსაინოვმა საკონტროლო მატჩში VIII მსოფლიო ჩემპიონატის სამზადისის დროს შვეიცის ქალაქ ვეკშში 2 ბურთი.

არის კიდევ ერთი ზოთამაშე, რომელსაც აცვია ქართველ ოსტატთა მიერ შეკერილი ბუცები. ესაა ერვენელი სარქის ოვივიანი, რომელიც თვალის ჩინვივით უფრთხილდება მათ. ოვივიანს ეშინია, არ გამეორდეს იგივე ისტორია, რომელიც მას 1960 წელს დაემართა.

მიხომ მას შეუკერა ბუცები. ეს ზუსტად ის დღეები იყო, როცა ერევნელები თბილისის „დინამოსთან“ სათამაშოდ ემზადებოდნენ. ფეხბურთის მოყვარულებს ახსოვთ ალბათ ეს შეხვედრა, რომელიც ერევნელებმა გაუგონარი ანგარიშით მოიგეს — 5:1. ერთ-ერთი ამ ბურთთაგანი, კერძოდ, — მეოთხე, გატანილ იქნა უშუალოდ კუთხურიდან, რომელიც საოცარი სიზუსტით შეასრულა ოვივიანმა.

გასახდელში დაბრუნებისას ოვივიანმა სიტყვა მისცა საკუთარ თავს, გაფრთხილებოდა მიხოს ბუცებს. მაგრამ გავიდა ნახევარი საათი და აღმოჩნდა რომ ბუცები გაქრა. მათ მთელი გუნდი ეძებდა, მილიციასაც კი შეატყობინეს. ყველაფერი ამაო იყო. საიდუმლოება გაიხსნა მხოლოდ შემდგომი სეზონის დასაწყისში.

ფეხბურთელთა მინდორზე გამოსვლის წინ გასახდელში შემოვიდა ბიჭუნა და ოვივიანს ჩაბარა წერილი:

— „სარქის-ჯან! ვიცით, რომ შენ ჯერ კიდევ ეძებ ბუცებს. ნუ ეძებ. ჩვენ ისინი სამახსოვროდ წავიღეთ და შემნახველ სალაროზე უფრო საიმედო ადგილას შევინახეთ“.

ხუმრობა

1938 წლის საკავშირო პირველობის დაწყების წინ მოსკოვის „სპარტაკის“ ხელმძღვანელობა გაფაციცებით ეძებდა მეკარეს, რომელიც შეძლებდა ღირსეულად შეეცვალა წითელ არმიაში გაწვეული ანატოლი აკიმოვი. და აი, უცებ ნიკოლოზ სტაროსტინის სახელზე, რომელიც მაშინ სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ თავმჯდომარე იყო, მოვიდა წერილი:

„პოდლიპკაში თამაშობს ვლადისლავ ეშელკოვი, ეს ტრა-კლასის გოლკიპერი. ჩამოდით, ნახეთ...“

კლუბის ხელმძღვანელებმა პოდლიპკაში გაგზავნეს ფეხბურთის მცოდნეები. მათ ადგილზე ნახეს მეკარე, დაბრუნდნენ მოსკოვში და ერთხმად განაცხადეს:

— შესანიშნავი მეკარეა! ახლავე მოიწვიეთ.

პოდლიპკაში დაუყოვნებლივ გაგზავნეს ტელეფონოგრამა და ერთი დღის შემდეგ მეკარე დედაქალაქში იყო.

„სპარტაკის“ მწვრთნელს კონსტანტინე კვაშინინს გული არ უთმენდა საქმეში ენახა ახალი მეკარე და როგორც კი იგი ჩამოვიდა, მაშინვე მოაწყვეს ორმხრივი თამაში.

ახალბედა მეკარე დააყენეს მეორე შემადგენლობის კარის დასაცავად. გავიდა რამდენიმე წუთი და მან გაუშვა პირველი გოლი, შემდეგ მეორე, მესამე. სპეციალისტები, რომლებიც პოდლიპკაში იყვნენ, გაოგნებული იყვნენ. მათ რცხვენოდათ თვალი გაესწორებინათ კლუბის ხელმძღვანელობისთვის და მეორე ტაიმის დაწყების წინ შორეულ ტრიბუნაზე გადაინაცვლეს.

შესვენების შემდეგ ახალბედა მეკარემ კიდევ ორი იოლი ბურთი გაუშვა და მისი ბედიც გადაწყდა.

მეკარის გასაცილებლად სადგურზე საგანგებოდ, ჭკუის სასწავლებლად გაგზავნეს ერთ-ერთი ის სპეციალისტი, რომელიც პოდლიპკაში მგზავრობდა ეშელკოვის სანახავად. იგი იმდენად დაბნეული და დაბეჩავებული ჩანდა, რომ მეკარეს შეეცოდა და როგორ მატარებელი ის-ის იყო უნდა დაძრულიყო ადგილიდან, მან ვერ მოითმინა და თქვა:

— ტყუილად ნუ იშლით ნერვებს. მე არც მეკარე ვარ და არც ეშელკოვი. ჩვენი გუნდის მწვრთნელმა გადაწყვეტა ცოტა წაეხუმრა და ეშელკოვის ნაცვლად მე გამომგზავნა...

და მაინც, 1938 წლის სეზონში მოსკოვის „სპარტაკის“ კარში გამოჩნდა ახალი მეკარე — ვლადისლავ ეშელკოვი.

დანაძლევდნენ

1967 წლის ზაფხულის დასაწყისში ედუარდ სტრელცოვი სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა პარიზის „პარკ-დე-პრენსის“ სტადიონზე. საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებთან მატჩის შემდეგ, რომელიც მასპინძელთა დამარცხებით დამთავრდა, მას აჩუქეს ფირმა „ადიდასის“ ბუცები.

ბაქოს „ნეფტიანიკთან“ მატჩში სტრელცოვმა გადაწყვიტა სწორედ ეს ახალი ბუცები ჩაეცვა. მატჩის დაწყებას ნახევარი საათი აკლდა. სტრელცოვი აუჩქარებლად იცვამდა. ჩაიცვა მაისური ტორპედოელთა ლიტერით, გეტრები, შემდეგ ხელი ჩაჰყო ჩანთაში და ამოიღო ახალი ბუცები. შეამოწმა ერთი შიპი, შემდეგ მეორე და კვლავ ჩაჰყო ხელი ჩანთაში ქანჩის ამოსაღებად. სტრელცოვმა საიმედოდ მოუჭირა შიპები, შემდეგ, როგორც ეს საერთოდ წესადაა მიღებული, რამდენიმეჯერ დაკრა იატაკს ბუცები, რის შემდეგ შეუდგა ჩაცმას.

სტრელცოვს გვერდით ანდრეიუკუუზის. იგი ხმადაბლა ეჩურჩულება სტრელცოვს:

— პირველად იცვამ?

— ჰო.

— არ გიჭერს?

— არა.

— რატომ ვარჯიშზე არ ჩაიცვი?

— ეს რა, სავალდებულოა?

— გაგთვალავს...

— ნუ სულელობ.

— გოლს ვერ გაიტან, აი რა მოსდება.

— დავნაძლევდეთ, რომ გავიტან.

— მოდი!

თუ ვინ მოიგო ნიძლავი, ძნელი გასაგები არაა 16 ივნისს გამოქვეყნებული ამ მატჩის რეცენზიებით. მათ შორის ვინც გაიტანა გოლები, მოხსენიებულია სტრელცოვიც.

თასისთვის გრძელები გრძელდება

გრძელდება ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. მერვედფინალში გავიდა თურქეთის ჩემპიონი, სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი, რომელმაც განმეორებითი მატჩი ვარშავაში კრაკოვის „ვისლასთან“ წააგო — 56:69, მაგრამ, შინ პირველ შეხვედრაში, მას უფრო დიდი ანგარიშით ჰქონდა თამაში მოგებული — 91:70. პირველ მატჩში გდრ-ის ჩემპიონმა „ფერენცვაროშმა“ მოუგო ჰოლანდიის „ფლამინგოს“ — 75:70. ლუქსემბურგის „ბლაქსტერმა“ წააგო იტალიის ჩემპიონთან „ორანსოდასთან“ — 51:97. გფრ-ის ჩემპიონის ესენის მტვ-სა და შვეიცის „ალვიკს ბკ“-ს ორთაბრძოლაში მინიმალური უპირატესობით — 61:60 (39:28) გერმანელებმა გაიმარჯვეს.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.